



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №92

2018 წლის 2 ნოემბერი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ([www.matsnc.gov.ge](http://www.matsnc.gov.ge), 09/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016382) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) შესაბამის პირებს მიმართოს მითითებით შესაძლო უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი:

  
ბესიკ ჭიქია  
